# ივერია

გაზეთის ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


## „ივერია"

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 12 დეკემბერი

კარგა ხანია მას აქედ, რაც გამოცხადებული იყო, რომ ქუთაისის გუბერნატორს განზრახვა აქვს გამართოს ქუთაისში მთელის გუბერნიისათვის ერთი ბაღოსნობის სკოლა. იმედია, არც ის დაუვიწყნიათ მკითხველებს, რომ ბ-ნმა გუბერნატორმა სთხოვა აქაურს „სამეურნეო საზოგადოებას", რომელიმე წევრის გაგზავნა ქუთაისში ფერმის დასათვალიერებლად, რომელიც უნდა დაეთმოს სკოლას, თუ რომ იგი დაარსებულ იქმნა ქუთაისში. ამას წინად ისიც მოვიხსენიეთ, რომ „საზოგადოების" წევრს, ბ-ნს ოსტაპოვიჩს, უკვე დაუთვალიერებია ფერმა, რომელიც სკოლისათვის შესაფერ ადგილად უცვნია, და აგრეთვე ის აზრი შეუდგენია, რომ ქუთაისის გუბერნიისათვის დიდადაც საჭიროა ბაღოსნობისა და ღვინის კეთების სკოლაო. ამ ჟამად აქაურ „სამეურნეო საზოგადოებამ" უნდა გამოარკვიოს, რა გვარი სკოლა უფრო ეჭირება ქუთაისის გუბერნიას—ბაღოსნობისა თუ მებოსტნობისა, და თავისი აზრი უნდა წარუდგინოს ქუთაისის გუბერნატორს სახელმძღვანელოდ.

თვით ეს გარემოება მეტად სასიამოვნო და საგულისხმოა, რადგანაც იმას მოასწავებს, რომ ქუთაისის გუბერნია, ბუნებით უხვი, მდიდარი, მრავალ-ფეროვანი ქვეყანა, თუ დღეს არა, ხვალ მაინც ეღირსება ისეთს სკოლას, რომელმაც უნდა დასდოს საფუძველი რაციონალურის ბაღოსნობისა, ღვინის კეთებისა და სხვ. დიაღ, რამდენადაც სასიამოვნოა ეს ამბავი, იმდენადვე სამწუხაროა, რომ დღემდე არავის უფიქრნია და უზრუნვია ამ მხრივ ქუთაისისათვის. რაც უფრო ეჭირებოდა და ეჭირება ქვეყანას, ის იყო მივიწყებული და მიგდებული.

აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რომელი სკოლა — ბაღოსნობისა თუ მებოსტნობისა, უფრო საჭირო იქმნება ქუთაისისათვის; ამას შეამუშავებს ის კომისია, რომელიც ამ საგნისათვის დანიშნა სამეურნეო საზოგადოებამ. აქ მხოლოდ ის უნდა მოვიხსენიოთ, თუ რა გზას უნდა დაადგეს კომისია, რათა უტყუარი და სამართლიანი აზრი დაადგინოს და ამით ნამდვილი სამსახური გაუწიოს მთელს ქვეყანას.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა მეტად მრავალ-გვაროვანია; ამ პატარა სივრცეზე შეხვდებით სრულიად სხვა-და-სხვა ნიადაგს, სხვა-და-სხვა ჰავას, სხვა-და-სხვა ტოპოგრაფიულს მდებარეობას და სხვა-და-სხვა ტიპებს მეურნეობისას. სხვათა შორის ეს იმის მიზეზია, რომ ჩვენ დღემდის რიგიანად არ შეგვისწავლია ჩვენივე გარემოება და მდგომარეობა. ესვე ითქმის აქაურ სამეურნეო საზოგადოების შესახებაც. მკითხველს, შესაძლოა, ახსოვს, რომ ქუთაისის გუბერნიის თაობაზე საზოგადოების წევრნი ორს სხვა-და-სხვა აზრს დაადგნენ; ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ქუთაისის გუბერნია ბაღოსნობის ქვეყანა არ არისო, რადგანაც იქ არ მოდის და შეუძლებელიც არის მოვიდეს მაღალის ღირსების ხილეულობა; ზოგნიც იმას ამტკიცებდნენ, რომ იმავე გუბერნიის მრავალს ადგილებში მოდის მაღალის თვისებისა და კულტურის მცენარეობა, რაიცა მოასწავებს, რომ ქუთაისის გუბერნიაში კარგი მერმისი ექმნება ბაღოსნობას და საზოგადოდ მიწათ-მოქმედებას. ჩვენის აზრით, მეტად საყურადღებოა ისა, რომ ჩვენს გვერდსავე მდებარე ქვეყნის გარემოება იმდენად ნაკლებად ცნობილი და გამორკვეული ყოფილა, რომ თვით აქაური აგრონომები, წევრნი სამეურნეო საზოგადოებისა, სულ სხვა-და-სხვა აზრზე შეჩერდნენ. ვიმეორებთ, ამის მიზეზი ის არის, რომ ნაკლებად ვიცნობთ ჩვენისავე ქვეყნის გარემოებას და ვითარებას; რომ ჩვეულებად გვაქვს, როცა რკინის გზის მატარებელი მიგვაქროლებს, ვაგონის ფანჯრიდგან ცქერის დროს დავასკვნათ რომელიმე აზრი; მაგალითად, ჩავივლით იმერეთისაკენ და თუ რომელსამე სადგურზე ცუდი ვაშლი ან მსხალი ვიგემეთ, უსათუოდ ის აზრი უნდა გამოვიყვანოთ, რომ მთელს ქუთაისის გუბერნიაში რიგიანი ხილეულობა არ მოდის და არც მოვაო.

ამიტომაც საჭიროა იმ კომისიამ, რომელმაც თუ სულ არა, დროებით მაინც უნდა გადასწყვიტოს ბაღოსნობისა თუ მებოსტნობის საქმე მთელის ქვეყნისათვის, მეტად გულ-დასმით და წინ-დახედულად იმოქმედოს, რათა შეუწყნარებელი შეცდომა არ ჩაიდინოს. საჭიროა რიგიანად შეისწავლოს ქუთაისის გუბერნიის ვითარება, შეჰკრიბოს სხვა-და-სხვა ცნობები, დაეკითხოს ისეთს კაცებს, რომლებსაც უცხოვრნიათ და უმოქმედნიათ იმ გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში და სრული წარმოდგენა აქვთ იქაურს ვითარებაზე, და აგრეთვე თვით ქალაქს ქუთაისს, რომელმაც ასე თუ ისე მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დაარსებაში.

შესაძლოა, მკითხველს ეუცხოვა, რომ ჩვენ აქ ერთის სიტყვითაც არ მოვიხსენიეთ „ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება", რომელსაც მომეტებული მონაწილეობა უნდა მიეღო ზემოდ აღნიშნულს საქმეში. დიაღ, მართლა რომ საუცხოვოა იმ საზოგადოების არხსენება იქ, სადაც მისი ხსენება აუცილებელი იყო. ორი თთვეც არ გასულა მას აქედ, რომ აქაურს სამეურნეო საზოგადოებაში აღძრეს ბაასი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ქუთაისში სამეურნეო საზოგადოება, და თუ არსებობს, რასა და როგორ მოქმედობსო. ამ საკითხავზე ვერც თვით „საზოგადოებამ" იპოვა პასუხი, თუმცა არა-ერთხელ მიუმართავს თავისის ნორჩ მოძმისათვის ქუთაისში თხოვნითა,—ხმა მაინც გაგვეციო. ვეჭვობთ, რომ დღესაც იცოდეს აქაურმა „საზოგადოებამ" ქუთაისის „საზოგადოების" ბედ-იღბალი. საქმე იმ რიგად არის, რომ სანთლითაც რომ ეძიოთ ქუთაისში ის „საზოგადოება", თვით მდივანსაც რომ დაეკითხოთ, მგონი, მაინც ვერ აღმოაჩენთ იმის წევრებს, ვერც ბინას და ვერც იმის მოღვაწეობის კვალსა.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ბანკის ახალ თეატრში პირველი ქართული წარმოდგენა იქნება ოთხშაბათს, 16 დეკემბერს. წარმოდგენილი იქნება, როგორც ჩვენ მკითხველებს შევატყობინეთ, გ. ერისთავის „გაყრა" და ორ-მოქმედებიანი რუსულიდამ თ. დავ. ერისთავისაგან გადმოკეთებული კომედია „საძაგელი".

რადგან ამ წარმოდგენაში ძველ მოთამაშეებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას ახლებიც, რომელნიც დრამატიულ საზოგადოების დასში პირველად თამაშობენ, დიდად სასურველია, რომ ამ პირველ წარმოდგენას დაესწრნენ სცენის მცოდნენი და დააფასონ ახალი მოთამაშეთა ნიჭი. ამ დაფასებაზე იქნება დამოკიდებული ახალ მოთამაშეთა მომავალი ბედი ქართულს სცენაზე. დრამატიული საზოგადოება მიიღებს დასში ყველას, ვინც-კი გამოიჩენს ნამდვილს ნიჭსა.

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

სადავე-მიშვებული ქურდობა.—რამ უწამლა?—თვალ-საჩინო მაგალითი.—ვინ იკისრებს წინამძღოლობას?—წარბსაც არ შეიხრიდა ქიზიყი.

ათი-თხუთმეტის წლის წინად უკიდურეს მდგომარეობაში იყო ქიზიყი გამუდმებულ ქურდობისაგან. დღე არ გაივლიდა, რომ შეძლებულ გლეხს არ დასხმოდნენ თავს ყაჩაღები და არ გაელალნათ ცხენი იქნებოდა, ძროხა, კამბეჩი თუ ცხვარი. დიდად შესწუხდებოდა ხოლმე ქიზიყის მთავრობა. მაზრის უფროსი დაიბარებდა არა მარტო მამასახლისებს, არამედ თვით ხალხსაცა და ჰქონდათ გაძლიერებული თათბირი იმაზედ, თუ როგორ უნდა მოუარონ თავსა და რომელის საშუალებით ამოსდონ ლაგამი თავგასულ ქურდობასა, მაგრამ თათბირი არასა ჰშველოდა. ყაჩაღებს მიუდიოდათ ქიზიყელების საქონელი... რამდენისამე წლის განმავლობაში დაემხო მრავალი სახლობა და მიწასთან გასწორდა, თანაც სახლობა ისეთი შეძლებული და გაძლიერებული, რომ დღეს იმათთანას იშვიათად-ღა იპოვნით. მე თითონ მახსოვს არა ერთი და ორი ოჯახი გლეხისა, სადაც კამბეჩებს ასობითა, ორასობით და სამასობით სთვლიდნენ. ძროხისა და ცხვრის ანგარიში ხომ არც-კი იცოდნენ.

აი ამისთანა ოჯახები გაალატაკა სადავე-მიშვებულმა ქურდობამ.

ხალხი დიდად შეწუხდა. ჩივილი სასამართლოებში გაუთავებელი იყო. ერთი საქმე რომ განსამართლებული იყო, იმის ადგილზე ათი სხვა უნდა ატეხილიყო. იქამდის მიიყვანეს ხალხი ქურდებმა, რომ ჭკვიანურ საქციელად შეიქმნა ხმის ამოუღებლობა. ასე რომ თუ ვაქურდულს უნდოდა დანარჩენი საქონელი მაინც ხელიდამ არ წასვლოდა, ერჩივნა გაჩუმებულიყო და საჩივარი არ აეტეხნა, თორემ ქურდის „ყონაღები" დაესხმოდნენ იმის აელა-დიდებასა, დაიტაცებდნენ და, ამ სახით, აშენებულსა და გაკეთებულს ოჯახობას ნარიყალაზე გაიყვანდნენ, ულუკმა-პუროდ დასვამდნენ. ასეთი დრო დადგა მაშინ ქიზიყში.

ხალხი გაუყუჩდა ქურდობას, და ქურდობა თავისას არ იშლიდა. გამუდმებით, შეუჩერებლივ გაჰქონდა, რაც-კი გზაზე ანუ ბინებში დაჰხვდებოდა. მეტადრე ცხენებს ეტანებოდნენ. მახსოვს ერთის აზნაურიშვილის სახლობა, გაძლიერებული და გაჩაღებული. იმის ლურჯა ცხენების ჯოგი აბნელებდა იქაურობას. მტერიც-კი ავის თვალით ვერ შეხედავდა. მერე კაი ჯინშის ცხენებიც იყო. რამდენისამე დღის განმავლობაში სულ მშრალზე დასვეს უბედური პატრონი ქურდებმა, მოუსვეს ხელი და ის იმოდენა ჯოგი სულ ერთიან გადარეკეს სადღაცა. თავისი შეძლება ზედ გადაჰგო პატრონმა იმათ ძებნაში და კვალსაც-კი ვერ მიაგნო. გაძლიერებული ოჯახი დაემხო, დაეცა, ერთიან დაუძლურდა და ამ უკანასკნელ ხანებში-ღა ძლივს-ძლივობით წამოიწია, გაიმართა წელში.

უბედურება გაორკეცდა, როდესაც თვით მუშამა და გამრჯე ქიზიყელმა კაცმაც ქურდობას მიჰყო ხელი და გაიჩინა „ყონაღი" თათრები. გარედამ ქურდმა ხომ გააღარიბა ქიზიყი, მაგრამ შინაგანმა მტერმა უარესი დღე დააყენა. რამდენიმე წელიც რომ დარჩენილიყო ქიზიყი ამისთანა ყოფაში, უეჭველია ეს მდიდარი მხარე ჩვენის ქვეყნისა ერთიან გალატაკდებოდა.

**

სწორედ ამ დროს გასჭრა ქიზიყის ბედმა—დანიშნეს სიღნაღში ბ-ნი ჯანდიერი მაზრის უფროსის თანაშემწედ. რომ იტყვიან—სულზე მიასწროვო, სწორეთ ასე სულზე მოასწრო შეწუხებულს ქიზიყს ბ-ნმა ჯანდიერმა. მოსვლისათანავე სცნო ამ მოხელემ, რომ ეს მხარე, ბუნებით დაჯილდოვებული, მოუკლავს და დაუხუთნია ქურდობასა, გაიგო, რომ თუ მსწრაფლ და ერთიან არ ეშველა ამ საშინელს სენსა, ქიზიყი მიწასთან გასწორდება მალეო,—და კიდევაც შეუდგა საქმეს. ჯერ იქიდამ დაიწყო, რომ შინაური ქურდები თავიანთ ქერქში ჩააყენა.

როგორც ამბობენ, უმთავრესად ეს საქმე მოახერხა იმითი, რომ სოფელი მოვალე გახდა დაკარგული საქონელი ან ეზღო და ან ეპოვნა. ამ ღონისძიების ღირსება ის არის, რომ თითქმის ყოველთვის იცის სოფელმა, ვინ არის ქურდი და ვინ რას იპარავს. რაკი სოფელს უნდა აეყენებინა მკვიდრის დანაკარგი, ამიტომ კიდეც გაფაციცებული თვალ-ყურს ადევნებდა ყველასა, ვისაც-კი უპატიოსნო კაცად იცნობდნენ, რომ არა დაკარგულიყორა და ამით სხვის უპატიოსნებას არ დაეზიანებინა მთელის სოფლის მცხოვრებნი. რაწამს დაიკარგებოდა არა თუ ცხენი, ცხვარი ანუ ხარი და კამბეჩი, არამედ ერთი ჯანდაგი ცხვარიც-კი, მაშინადვე უნდა ეცნობებინათ უფროსისათვის. ბ-ნი ჯანდიერიც

*** წმ. ათონის მთიდამ მამანი და ძმანი ქრისტეს მიერნი გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იმათ, ნიშნად ღრმა პატივის-ცემისა განსვენებულ დიმიტრი ყიფიანისადმი, დააწესეს ხსენება დიმიტრისა ორმოცის დღის განმავლობაში და მუდამ დღე აღსრულებდნენ ჟამის წირვასა პანაშვიდითურთ და მხურვალედ ევედრებოდნენ ღმერთსა, რომ საუკუნოდ იყოს ხსენება დიმიტრისა.

*** ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ მოსკოვის პოლიციამ ბ-ნ როინიშვილს არ მისცა ნება ეჩვენებინა მოსკოველთათვის შესანიშნავი მუზეუმი საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთებისა, რომელიც შეკრებილია ამიერ კავკასიასა და დაღისტანში. თავისი მუზეუმი ბ-ნმა როინიშვილმა გადიტანა პეტერბურგში. ეხლა, როგორც რუსეთის გაზეთები იწერებიან, ამ მოკლე ხანში პეტერბურგის საზოგადოებას შეეძლება ნახოს ხსენებული მუზეუმიო. გაზ. „Новости" ამბობს, რომ ნაშთთა შორის მოიპოვებიან აგრეთვე იაპონიის, ჩინეთის და სპარსეთის სიძველენიო.

*** თელავი: განსვენებულ იოსებ ელიოზიშვილს, რომელიც იყო მასწავლებელი გალობისა აქაურ სასულიერო სასწავლებელში, ბევრი ქართული ხმები დარჩა მის მიერ ნოტებზე გადაღებული. ეს ნოტები დღეს განსვენებულის დებსა აქვთ შენახული.

ურიგო არ იქნებოდა, რომ ეს ნოტები დაბეჭდილიყო და იმით გამოსადეგი გამხდარიყო ქართველ საზოგადოებისათვის.

*** ღელ-ფლის წყარო: დეკემბრის 5-ს აქაურ სამხედრო სამკურნალოში მოიყვანეს ყვარლიდგან მორიგი ჯარის-კაცები, რიცხვით რვანი. ყველანი ვენერიულ სატკივრით არიან ავადა. ორნი უკვე განთავისუფლდნენ ავადმყოფობისაგან.

ხსენებულნი ჯარის-კაცნი ძალიან ემადლიერებიან თავიანთ აფიცრებს, უმეტესად თ. კ. კოტე ერისთავსა, რომელიც ისე კარგად ეპყრობა თურმე ახალ ჯარის-კაცებსა, რომ მამასავით შეაყვარა თავი.

ჩვენს ხალხს ოღონდ გული აჩვენე პატიოსანი და თავს შემოგევლება, ყველაფერს გაჭირებას აიტანს, ყველაფერსაც ფიცხლავ შეისწავლის და ერთგულადაც იქნება საქმეზე.

*** გაზ. „Кавказъ"-ის სიტყვით, ბ-ნი ქალაქის თავი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, რომ დახმარება აღმოუჩინოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე მასზედ, რომ სამინისტრომ უსარგებლოდ ასესხოს ფული 156 ათასი მანათი ქალაქსა და ამით შეძლება მისცეს დანარჩენ ქუჩებშიაც მილის წყალი გაიყვანონ.

*** კინტოებს ბევრი განსაკიცხავი ზნე სჭირთ, მაგრამ იმათში ბევრჯელ ისეთს პატიოსნებასა ნახავთ, რომ, გაჰკვირდებით. იშვიათი არ არის, მაგალითად, იმისთანა საამური ამბავი, რომელიც გაზ. „Новое Обозрѣніе"-ს მოჰყავს თავის ფურცლებზე:

ხარახზ გელო ოჭანეზოვს მოუკვდა ცოლი. გელომ არ იცოდა, სად ეშოვნა სამარხი ფული. მიჰმართა თავის ნაცნობებსა და მეგობრებს, ვინც ფულიანი ეგულებოდა, მაგრამ ვერას გახდა. ოჭანეზოვი ქუჩაში შესჩიოდა ნაცნობებს თავის გაჭირებას. იქვე იდგა ერთი კინტო, ვანო მღებრიშვილი, რომელიც თაბახით ყველსა ჰყიდდა. მოჰკრა ყური გაჭირებულ ოჭანეზოვის საჩივარსა, მაშინათვე მოიხსნა ვერცხლის ქამარი, მისცა გაჭირებულ კაცსა და უთხრა: „აჰა, ძმავ, წაიღე, დააგირავე და ამით დამარხე შენი ცოლი. მერე, როცა შეგეძლება დაიხსენ და დამიბრუნე ქამარი—ჩემი სამარხიც ეგ ქამარიაო".

## სიტყვა

თქმული მთავარ-მართებლისშიერ თ. ღ. ი. მელიქოვის იუბილეის დღეს.

„თავადო ლევან ივანეს ძე!

„ბედნიერი ვარ, რომ მე, დიდის ხნის თქვენს მეგობარს და კავკასიის უფროსს, მხვდა წილად მოგილოცოთ თქვენთვის დიდად სანატრელი დღე 50 წლის იუბილეისა და ნაყოფიერის სამსახურისა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეობის სახელითა. მე მხვდა წილად გამოვთქვა ის გრძნობანი, რომელიც ასულდგმულებს და ახარებს ამ მოხელეობის დღევანდელს თქვენთვის დიდად სანატრელს დღესა.

„არ გავიხსენებ თქვენს სამსახურს, თუ სამოქალაქოსა და თუ სამხედროს, რომელიც თქვენ გამოიარეთ ყმაწვილობაში, მაშინ, როცა კავკასია დიდს განსაცდელში იყო ომებისა და ღამქრობის გამო. მივაქცევ მხოლოდ განსაკუთრებულს ყურადღებას თქვენს მოღვაწეობას დაღესტანში, სადაც თქვენ თითქმის 20 წელიწადი გაატარეთ და ჰმართავდით ამ ქვეყანას.

„დაღესტანი სრულად გამოსცვალა იმ გარემოებამ, რომ თქვენ მხნეობდით იმ ქვეყანაში და ასრულებდით მთავრობის განკარგულებასა და სურვილსა; იმ გარემოებამა, რომ თქვენ კარგად იცოდით ზნე-ჩვეულება, საჭიროება დაღესტნის მკვიდრთა და ამ ცოდნის შესაფერად ჰმოქმედებდით. ამის გამო წინანდელი სურვილი და მიდრეკილებანი ამ ქვეყნისა მოსპობილ იქმნა და მათ სამაგიეროდ ყველამ სასარგებლოდ გამოიყენა მშვიდობიანი ცხოვრება. თქვენის მხნეობით უგზო-უკვლოს, მიუდგომელს დაღესტანში გაკეთდა გზები, რომელიც ასე ჰშველის ქვეყნის სიღარიბეებს ეკონომიურად, და აი მრისხანე დაღესტანი, ჩვენის ქებულის ჯარების სისხლით შეღებილი, თქვენის მართვა-გამგეობის წყალობით, დღეს თითქმის ყველაზედ დამშვიდებული, საიმედო და მორჩილი მხარეა ვრცელსა და მრავალ სხვა-და-სხვა ტომით დასახლებულს კავკასიაში. თავ-მოწონებით შეგიძლიანთ სთქვათ, თავადო, რომ თქვენი სახელი და აწინდელი კეთილდღეობა დაღესტანისა სამუდამოდ იქნება ერთად დაკავშირებული და მომავალს იმის წარმატებასა იქ დათესილს თქვენი ღვაწლი აღმოაცენებს.

„თქვენი ღვაწლი ტახტისა და სამშობლოს მიმართ ღირსეულად დააფასა და დააჯილდოვა სამმა მონარქმა; ჩვენგან-კი მიიღეთ ჯილდოდ ის გრძნობა ღრმა პატივის-ცემისა და სიყვარულისა, რომელიც დაიმსახურეთ ყველა კავკასიელისაგან. მოგილოცავთ სულითა და გულით ამ სადღესასწაულო დღეს და გისურვებთ თქვენთვის დღეგრძელობასა და ბედნიერებასა მრავალ ჟამიერ. ბედნიერებად მიმაჩნია, რომ მე გილოცავთ ამ დღეს კავკასიის ყველა იმ სამოქალაქო და სამხედრო მოხელეობის სახელითა, რომელიც აქ იმყოფება და ან ჩვენგან შორს არის ამ ჟამად.

„ამ ოფიციალურის მილოცვის შემდეგ, ნება მომეცი, გულითადო მეგობარო ლევან, გისურვო შენთვის და შენის მეირფესის სახლობისათვის ყოველივ სიკეთე და ბედნიერება; მომეცი, ძველო მეგობარო, ხელი, რათა მშურად, მეგობრულად მოგეხვიო და მოგილოცო დღევანდელი ყოვლად ჩვენგანისათვის მეირფესი დღე შენის იუბილეისა.

## წერილი ქუთაისიდამ

ჩემი პირველი წერილი ვერაფრად ეჭაშნიკათ თურმე ზოგიერთებს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე არც მქონია სახეში ვისიმე ამება. თუ მწარე ეჩვენათ ჩემი სიტყვა, ნურას უკაცრავად: იმათივე ბრალია. დიდად მოხარული ვიქნებოდი, რომ კარგისა და სასიამოვნოს მეტი არა მეთქმოდეს-რა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, რაც უნდა მონდომებული იყო კაცი, რომ კეთილი სთქვა მაზე, ავის მეტს მაინც თითქმის ვერას იტყვი, თუ საზოგადოების ინტერესს გაიხდი წინამძღვრად და არ გასდევ ჩვენებურს პარტიობას, ჩემიან-შენიანობას, მოყვრობას, ნათესაობას და სხვას ამ გვარს. ვინც კალამს ხელში იღებს, დევიზად უნდა ჰქონდეს ლათინური ანდაზა: „amicus, Plato, sed magis amica veritas", ე. ი. მეგობარი ბრძანდები, ჩემო ბატონო, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია. რაც წინად უკვე მოგახსენეთ, ის მხოლოდ ერთი ცვარია, სხვა არაფერი. ახლა ევეი აღარ არის, რომ ბევრად მეტი ითქმება არ-საქებური იმ ჩვენს მოურავებზე, რომლებსაც ჩავაბარეთ მთელი ქალაქის საქმე და რომლებმაც, ჩვენდა სამწუხაროდ, სრულებით ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა და იმედი. ტყუილად იდებს კისრად პატივცემული „ბესიკი" ჩვენის გამგეობის წამხდარის საქმის გამობრუნებას: ამაო და უიმედო შრომაა. საზოგადო სამსახურში იმისი შნო და ბეჯითობა ცხადია ყველასათვის, ვისაც ცოტათი მაინც შესტკივა ქუთაისისათვის გული. „ვის მოეთხოვება გმირობა ეხლანდელ დროშიო"... გმირობა! გმირობას, თქვე კაი კაცებო, ვინა გთხოვთ და ვინ დაეძებს, ნეტა არ წაგვახდენდეთ, თავს არ მოგვჭრიდეთ... ნეტა ყველასაგან მოსათხოვარის მოვალეობის ასრულება ცოდეთ და საზოგადოებისა და საზოგადო ქონების მცირეოდენი ხათრი... არც საზოგადოების ასე აბუჩად აგდება და დაჩაგვრა ვარგა. ჯერ-ჯერობით დავანებოთ თავი საქალაქო მომავალ არჩევანებს, ახლანდელ მადლიანს გამგეობას, იმის კეთილ მოღვაწეობას, ალავიძისა და მიქიაშვილისთანა ხმოსნებს და იმ კანდიდატებს, რომლებიც სარგებლობენ შემთხვევით და წამოუყენიათ თავი, რომ გაიჩარხონ თავისი პირადი საქმეები. მე მინდა მოგმართო სიტყვა შენ, ჩვენო ქუთაისელო ამომრჩეველო. თუ შეგტკივა გული შენი ქალაქისათვის, თუ გსურს მისი კეთილ-დღეობა და ბედნიერება, თუ ცოტათი მაინც ღვივის შენში მოქალაქობრივი და საზოგადოებრივი გრძნობა, დაივიწყე საერთო საქმეში ყოველივე საპირადო და კერძო ანგარიში, ასწონ-დასწონე შენი დიდი მოვალეობა და იმ ცოდვის სიდიდე, თუ შენის კენჭის წყალობით ავნე მთელ ქალაქს და დაუსვი მეთაურებად ღირსი, მცონარე, უცოდინარი და კერძო ინტერესების მიმდევარი კაცები. უნდა ვთქვა სიმართლე, რომ აქამდის ქუთაისში დიდი ნდობა და პატივი ჰქონდა განათლებულს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას. ისიც მართალია, რომ ამ განათლებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ, ესრედ წოდებულმა ინტელიგენციამ, თავისის უხეირო ფუქსავატობითა და შეუფერებელის საქციელით თითქმის დაჰკარგა წინანდელი ნდობა. მაგრამ ჩვენ იმედი არ დაგვ[…]კარგვია და გვგონია, რომ, რაც უნდა იყოს, ხელ-მძღვანელობა და საზოგადო საქმის სასურველად წაყვანა ისევ განათლებულს ნაწილს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მას შეუძლიან, რომ სამართლიანად დააფასოს თავის ნაღვაწი, დაანებოს თავი კერძოობას, არ გაუ[…]ომდეს ბოროტ-მოქმედებას, მიატოვოს საზოგადო საქმეში გულგრილობა და ამით იხსნას დამცირებისაგან თავისი სახელი. ჩვენში, საუბედუროდ, ისე დაწვრილმანდა ინტელიგენცია, რომ სიმართლის გაბედული პირში თქმა, საზოგადოებისათვის გულ-წრფელი თავ-გამოდება და კერძო ინტერესების დათრგუნვა წამლადაც ძნელად მოსაძებნია. სულ მცირე

---

ფიცხლავ მოაჯდებოდა ცხენსა და თვით ჩაიჭრებოდა სოფელში, სადაც მოხდა ქურდობა. გააბამდნენ ყველას, ვინც ქურდებად იყვნენ ცნობილნი, და ორ-სამს დღეზე უეჭველად თავისთავად აღმოჩნდებოდა დაკარგული საქონელი. დაჭერილ კაცებს გამოუშვებდნენ.

ასე და ამ გვარად, შინაური ქურდები ნელ-ნელა დაწყნარდნენ, ისევ მამა-პაპურს გზას დაადგნენ და არჩიეს პატიოსნური მუშაობა უსინიდისო ცხოვრებასა და მოქმედებას.

დარჩა გარედამ ქურდობა-ყაჩაღობა. მაგრამ მხნეობამა და მეცადინეობამ ესეც თითქმის ერთიან ამოაგდო ქიზიყში. რაკი მოხდებოდა სადმე ქურდობა, ბ-ნი ჯანდიერი თვითონ გაუძღვებოდა ჩაფრებსა და გლეხობას, ჩაუდგებოდა იმათ, ვისზედაც გუმანს მიიტანდნენ, და სანამ მოპარული საქონელი „თავის-თავად" არ მივიდოდა პატრონის ბინაზე, მანამდის არ მოასვენებდა ამ თავიდამ ხელაღებულებს.

ამისთანა გამრჯელობის შედეგი ის იყო, რომ ქურდებმა თითქმის სრულებით აიღეს ხელი ქიზიყზე. ამის შემდეგ ქიზიყი ისევ მოსურიელდა და გაიშალა წელში. ასეთი მზრუნველობა გამოუჩინა მაზრის მთავრობამ ხალხსა და მისცა გზა, რომ პატიოსნურის შრომით გამორჩეს თავის მდიდარ მამულ-დედულსა. ამ რამდენისამე წლის განმავლობაში ქიზიყის მინდვრები ისევ გაივსო საქონლით, ცხენით, ცხვარითა, და იმედიც არის, რომ მალე უწინდელს დონეზედვე დადგება ხალხი შეძლებითა.

**

ქიზიყიდამ განდევნილმა ქურდობამ სხვაგან გადიტანა თავისი საზიზღარი სარბიელი. ქიზიყი დამშვიდდა, მაგრამ იმისი ადრინდელი დღე დაადგა ახლა ივრის ხეობას. ქურდები (როგორც ამბობენ, მუღანლოს თათრებიო) მიესივნენ ამ მდიდარს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას და ლამის გაატყავონ მშვიდი, წყნარი და მშრომელი ხალხი. დღე არ გავა, რომ ივრის ხეობაში დიდი ქურდობა არ მოხდეს და, თუ ქურდებს შეუშალა ვინმემ ხელი, უთუოდ რაიმე ავაზაკობა, კაცის კვლა და სხვა უბედურება უნდა დატრიალდეს. შეწუხდა ხალხი, სწუხს ადმინისტრაცია. ბოქაულს ბოქაულზე სცვლიან, ახალ-ახალ კაცებს ჰგზავნიან მოსავლელად. მეცადინეობა დიდია, მაგრამ ქურდები თავისას არ იშლიან და გლეხ-კაცობას ზევით ველარ აუხედნია.

ნუ თუ იქამდის ყოვლად შემძლებელია ავაზაკებისა და ქურდების ბრბო, რომ იმასთან ბრძოლა მოუხერხებელი იყოს? ჩვენა გვგონია, რომ ქიზიყის თვალ-საჩინო მაგალითი ამ მხრივ მართლა-და მისაბაძავია. ბ-ნ ჯანდიერის სიფხიზლემ თითქმის ერთიან მოსჭრა კბილი ავაზაკობას. ისეთივე სიმარჯვე და სიფხიზლე ივრის ხეობასაც მოსწმენდდა თვალზე ცრემლსა და ამიტომაც სასურველია ამისთანა გაძნელებულს მდგომარეობაში ეცადნათ უტყუარი ღონის-ძიება, რომლითაც ბ-ნმა ჯანდიერმა მოასვენა მთელი მაზრა და აქედამ თვით მაზრის მმართველობაცა...

მით უმეტეს საჭიროა სხვების გამოცდილებით ხელმძღვანელობა, რომ ივრის ხეობაშიაც, როგორც ადრე ქიზიყში, ქურდობა მომხრეებსა შოულობს თვით ადგილობრივ გლეხობაშიაცა. ქურდებმა გაიჩინეს გლეხთა შორის თავიანთი „ყონაღები", რომელნიც იპარავენ სოფლებში და მიუდით თათრებთანა. ესენიც ნაპარევს ასაღებენ განჯასა და ბაქოსაკენ. ამ სამარცხვინო აღებ-მიცემობით ეხლა თურმე არა ერთი და ორი გლეხი უთხრის სამარეს თავის მეზობლებსა და [?]ათის ნაწვავ-ნადაგით იკვებება. ეს ხომ უუმწვერვალესი მდგომარეობაა, როდესაც გლეხი კაცი ხელიდამ უშვებს მამა-პაპის იარაღს ცხოვრებისას, ჰკარგავს გზას პატიოსნურის გამრჯელობისას, ანებებს თავს ხვნათესვასა და ადგება ყაჩაღ-ქურდების ზნე-დაცემულს ცარცვა-გლეჯასა. აშკარაა, რომ აქ აუცილებელია დაუძინებელი მეცადინეობა ამ საშინელ სენის ძირიანად ამოგდებისათვის...

**

ივრის ხეობა ეხლა ისეთს მდგომარეობაშია, რომ იქაურ გლეხ-კაცობას თითქმის აღარაფრისათვისა სცალიან, თუ არ იმისთვის, რომ თავის ნაწვავ-ნადაგევს დღე-ღამ უყარაულოს და უდარაჯოს. სწავლა-განათლებისათვის იმას აღარა სცხელა, ბანკისა და დეპოების გული იმას აღარა აქვს, სახელმწიფო გარდასახადს სრულად ველარ იძლევა, გზებსა და ბოგირებს ველარ იკეთებს და გაკეთებულებს ველარ იმაგრებს. ივრის-ხეველს ცხადლივ და სიზმარში დღეს ქურდობა ელანდება, ქურდებისა ეშინიან, ავაზაკობის მოლოდინითა თრთის. ხალხის სალაპარაკო საგანი ეხლა მხოლოდ ქურდობაა. სხვა ყველაფერი აღარა არსებობს-რა იმისთვის. ამიტომ ეხლა ვერც ერთს საჭიროებაზე ხმას ვერ გასცემთ ივრის-ხეველს, თუ არ ყაჩაღობაზე. სხვა რამეზე დაუწყებთ ლაპარაკსა, და ის ყურსაც არ გათხოვებთ, შემოგაქცევთ ზურგსა,—საქმე გამოგლევიაო, ადგება და წავა.

ძნელიც არის, რომ კაცს პირიდამ უკანასკნელს ლუკმას აცლიდნენ და ამ დროს თქვენ იმას დაუწყოთ ბაასი სულისა და გონების ვითარებაზე, ფილოსოფიაზე და სხვანი.

ამ მხრივ სრულებით სხვა მდგომარეობაშია ეხლა ქიზიყი. იქ კაცი დარწმუნებულია, რომ ყაჩაღობა ვერ დასვამს ცარიელ ზე, რომ თავისი ნა

საქმეზე, რომელიც ფარად არა ღირს, გაპრტყელებული და ცხარე ლაპარაკი, ხოლო დიდ დიდზე და საყურადღებოზე ახირებული გაჩუმება და ზოგჯერ გაუგებარი მორიდება, ან-და იკლიკანტური გამოსარჩლება ისეთს კაცებსაც-კი დასჩემდათ და ზნედ გადაექცათ, რომლებიც აქ ყველასაგან წმინდა და დიდად პატიოსან კაცებად არიან ცნობილნი. ჩვენი ინტელიგენცია, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ის, ვისაც ეხლა სამოქმედო ასპარეზი სრულიად დაუჭერია, ყოვლად უნდილი და ვიწრო საშინაო ინტერესების ფარგალში მოქცეული დასია. ერთი შესანიშნავი მოვლენა უნებურად ეჩხირება თვალში ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრების მეთვალყურეს. ეს ის გახლავთ, რომ ყველგან, საითაც-კი გაიხედავ, რომელს საზოგადოებრივს საქმესაც და დაწესებულებას-კი მოავლებ თვალს, ერთი და იგივე ორიოდ-სამიოდე კაცია ჩაჩხირებული. ერთი ბანკი გინდათ, მეორე ბანკი, გამგეობა, სკოლა, ძველი საქმე, თუ ახალი, ყველგან თავობა ერთს და იმავე ორიოდ-სამიოდე ვითომ-და ბრძენისათვის მიუნიჭებიათ. ღვთის წინაშე, ჩემთვის აქამდისაც ეჭვის წყვდიადით არის მოცული ამ ბრძენთა სიბრძნე, თუმცა იმათი დიდი პატივის-მცემელი ვარ. ჩვენის ქუთათურის ინტელიგენციის საზოგადო საქმეში გულ-მხურვალეობის დასაფასებლად ავიღოთ სათავადაზნაურო სკოლა. როგორც მოგეხსენებათ, ამ სკოლას ყურის საგდებლად და საპატრონებლად კომიტეტი ჰყავს ამორჩეული. ერთი იკითხეთ, რას შვრება, როგორ უვლის ამ სკოლას ეს კომიტეტი; რამდენჯერ ჰქონია, ნეტავი, იმის საქმეზე კრება, სჯა, თათბირი? კომიტეტის თითოეულის წევრის ღვაწლის დასაფასებლად ის ვიანგარიშოთ, თუ რამდენჯერ მისულა იგი სკოლაში წლის განმავლობაში. ნუ იტყვით, თურმე წელიწადი წელიწადს ისე მისდევს, რომ ამ კომიტეტის უმეტესობას თვალითაც არ უნახავს სკოლის კარები... ზოგი მასწავლებლებსაც ვერ იცნობს და წლის გასულს, როცა მთელი საზოგადოება ალაპარაკდა სკოლაზე, კითხულობს: „ერთი მიჩვენეთ, რომელია ინსპექტორიო?..“ თუ ასე მოუქცეოდნენ საქმეს, რაღად აარჩევინეს თავი; თუ მოცლა არა ჰქონდათ, რად იკისრეს ვალდებულება?.. გასაოცარია ჩვენი გულ-გრილობა და უფრო გასაოცარი კიდევ ის არის, რომ საზოგადოება ავალებს მძიმე საქმეს ასეთს კაცებს და არ განიკითხავს ამათ ნამოქმედარს... ასეთი საზოგადო მოღვაწე მაგონებს მოსკოვის გაბღენძილს ვაჭარს, რომელიც ეკვეტება სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეში მხოლოდ იმისათვის, რომ თავის ფუქსავატს არსებობას ამაო სახელი და პატივი შეჰმატოს.

იმე!

## კახეთის ამბები

ძრიელ ძნელია ხალხისათვის უქონლობა ანუ სივიწროვე მამულისა. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი სისხლი დაღვრილა მომიჯნავეთა შორის მცირე უთანხმოებისა გამო? ვინ აღუსხავს ყველა ამის მსხვერპლთა რაოდენობას! თანაც დღემდის ეს არა-სანატრელი მოვლენა თუ არ მატულობს, არავითარი წამალი არ ედება!

მართალია, ხშირად პატივ-სადები მიზეზი გახდება ხოლმე ურთიერთშორის დავიდარაბისა მამულების გამო, მაგრამ ისიც არა იშვიათია, რომ სულ მცირე, თითქმის არაფრად მისაჩნევ მიზეზისაგან წარმოსდგება ხოლმე შესაზარი კვლა-ჩეხვა მოძმეთა შორის.

საზოგადოდ კახეთი და კერძოდ ზემო-კახეთი მამულების სიფართოვეთი ვერ დაიკვეხებს. საძოვარ-საიალაღეს ოცნება კახელებისათვის მეტისმეტი იქნება! ნეტავ ის მცირე სახნავი მიწები ჰყოფნიდეს ხალხს იმდენად, რომ კახეთისათვის სამყოფი პური, ქერი და სხვა საჭირო პურეულობა მოიყვანოს ყოველ წლივ. კახეთის ალებ-მიცემობა ღვინოა და ღვინოვე იქნება! ან როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კახეთი შეიძლებს როდისმე პურეულობის ვაჭრობას. ეს ტყუილი იქნება, რადგან ხალხს, რაც-კი და სადაც-კი მიუწვდებოდა ხელი, მთების ფერდობებიც-კი გაუკაფავს (ცივ-გომბორის მთისა და მდ. ალაზ. გაღმა კავკასიონის ქედისა) და სახნავ-სათესად გაუხდია. აი ამ გვარი მამულის უქონლობა-ვიწროობაა მიზეზი უბედურ შემთხვევებისა, რომლის მოწამენიც ამ ორიოდე დღის წინად ვიყავით კახელნი. უნდა იცოდეთ, რომ კახეთის ხალხს, საძოვრის უქონლობისა გამო, საქონელი თოვლამდე ტყეში გამოჰყავთ იოლად.

მამულის დავიდარაბისა გამო კახეთში ორი მკვლელობა მოხდა წარსულს თვეში. ერთი სოფ. ახატელში და მეორე სოფ. იყალთოს. ახატელში მკვლელობის მიზეზი იყო ისა, რომ მკვლელს მოკლულისათვის (თავის ბიძაშვილისათვის) წარსულ წელს მიეცა მოსახნავად მიწა ნაოთხალზე. შარშან მოკლულს ეს მიწა სიმინდისათვის მოეხნა და წელს-კი პური სდომებოდა დაეთესნა, რადგან გამოცდილებით ნასიმინდარს ყოველთვის კარგი მოსავალი მოსდევს პურისა. მიწის პატრონს ველარ გაემეტნა ნასიმინდარი დაეთმო მოკლულისათვის, ამდგარიყო და თვითონ შესულიყო მიწაში! აქ ნასიმინდარის მოამაგეც მისულიყო და ორი-სამი სიტყვა ჩხუბადა ჰქცეოდათ. ჩხუბში გამძაფრდა კეტების ტრიალიცა. ერთისავე დარტყმით მკვლელმა ლ. ლომაშვილმა გაუპო თავი შუაზე გ. ლომაშვილსა.

უბედურმა გ. ლომაშვილმა სულ ნახევარ დღე-ღა იცოცხლა! დამნაშავე საპატიმროში გაჰგზავნეს.

მეორე მკლელობა მოხდა იყალთოში და სულ სხვა გარემოებამაც გამოიწვია. ზევითა ვთქვი, რომ გლეხ ხალხს, საძოვრის უქონლობის გამო, თოვლის მოსვლამდე საქონელი იოლად მიჰყავს ტყის საძოვრებით. ერთს გლეხს, გიგილაშვილს, ჰყოლოდა ტყეში ს. იყალთოს ირგვლივ (თ. მაყაშვილების მამულებია) საქონელი საძოვრად! აქ დახვედროდნენ თ. შ. მაყაშვილის მეველეები და წაერთმევინათ მეძროხისათვის ფარაჯა! მეორე დღეს იმავე მეძროხეს თუმცა საქონელი სხვის მამულში ჰყოლოდა, მაინც იგივე მეველე დახვედროდა და საქონელი წაერთმევინა. ამ დროს მოეტანებინა კიდეც მეველისათვის მეძროხის უფროსს ძმას, ვ. გიგლაშვილს. აქ მოუვიდა ლაპარაკი ლეკსა და ვ. გიგლაშვილს ლაპარაკი ცემაზე გადავიდა. ხოლო ცემა იმითი დაბოლოვდა, რომ ლეკმა გულში დასცა ხანჯალი უფროსს გიგლაშვილს.

ამ მკვლელობის მიზეზად ხალხი ათას გვარ ამბებს მოგვითხრობს, მაგრამ ყოველივე არ არის უტყუარი ჭეშმარიტება. მკვლელობა მოხდა ტყეში, სადაც ერთი დღე და ღამე უბედური უპატრონოდ ეგდო. ეს კიდევ არაფერი. მეორე დღეს მთელმა სოფელმა და მოხელეობამ შეიტყო ეს უბედურება, მაგრამ ტყეში გდება უბედურ მსხვერპლს მთელი ოთხი დღე მოუხდა, რადგან შემოწმებასა და გამოძიებას ვერ ეღირსა მკვდარი კაცი. როგორც იყო, მეხუთე დღეს მიაბარეს იგი მიწას, მაგრამ მკვლელი დღესაც თავისუფლად დასეირნობს.

ძლიერ საჭიროა ამ საქმეს ჯეროვანი და სწრაფი მართლ-მსაჯულება მიეცეს, რადგან შესაძლებელია დაგვიანება-მიყრუებამ მეტად ცუდი შედეგი იქონიოს. ვ. გი—შვილის მოკლამ ზარ-დამცემი ზედ-მოქმედება იქონია მთელს სოფელზედ და საშინლად ააღელვა ხალხი. ხალხის აღელვება არ არის უმიზეზო და შესაძლებელია არა სასიკეთოდ დაბოლოვდეს. ესეა თუ ისე, მაინც საქმეს თავისი გზა უნდა მიეცეს და გამოირკვეს, რომ სოფლის აღელვება დაწყნარდეს. შეიძლება, სულ უსაბუთოა ხალხის მითქმა-მოთქმა, შეიძლება თვით გიგილაშვილიც იყო მიზეზი თავისივე უბედურებისა, მაგრამ მაინც ხალხი დღეს სულ სხვა გვარად სჯის და სპრის.

ი. კახელი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.

### წერილი მეცხრე

„Описаніе миніатюръ Гелатскаго Евангелія“, წერილი ნ. პოკროვსკისა.

„გელათის დასურათიანებულ სახარების აღწერა“ ვრცელი წერილია *). მარტო ამ წერილს უჭირავს 57 გვ. დიდ ფორმატოვან ჟურნალისა.

ავტორი პირველად ყოველისა ვრცელს წინასიტყვაობაში შეეხება იმ საგანს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართულს საეკლესიო მხატვრობას და „ხატთა მწერლობას“ ბიზანტიის იმპერიის ამ გვარსავე ხელოვნებასთან. ამ ორთავე ქვეყნების მხატვრობას ისეთი ნათესაობა, დამოკიდებულება აქვთო, რომ მეცნიერებამ საჭიროდ დაინახა, სრულის სახის აღსადგენად ერთის ქვეყნის მხატვრობისა შეისწავლოს მეორე ქვეყნის მხატვრობაცა. საქართველოს მხატვრობა საზოგადოდ და საეკლესიო განსაკუთრებით გადმოინერგა ამ ქვეყანაში საბერძნეთიდამ და, თუმცა ჟამთა განმავლობაში, საკუთარი სახე, თვით-მყოფელობა მიიღო, მაგრამ მაინც ეტყობა ნათესაობა ბიზანტიის მხატვრობასთან. რომ ქართულს საეკლესიო მხატვრობას დიდი კავშირი ჰქონია ბიზანტიის მხატვრობასთან, ამას აშკარად გვიმტკიცებს გელათის დასურათიანებული სახარება მე-XI—XIII საუკუნისა.

ეს სახარება დიდის მნიშვნელობისაა როგორც ბიზანტიის, ისე რუსეთის საეკლესიო მხატვრობის ისტორიისათვის: იგი შეძლებას გვაძლევს აღვადგინოთ რუსეთის ძველნი და დასურათიანებულნი სახარებანი; წიგნთ-საცავებში, უმეტესად ევროპიისაში, მრავალია სხვა-და-სხვა ნაირი დასურათიანებული ბერძნული სახარებანი (VI საუკუნიდგან), რომელთა სურათებს დიდი ურთი-ერთობა აქვთ ერთმანეთის შორის და გელათის სახარებასთანაც; მაგრამ განსხვავებული, განსაკუთრებული თვისებაცა აქვთ და გელათის სახარებაც არ არის მოკლებული ამ გვარს თვისებას.

გელათის სახარება მხატვრობის მხრივ უფრო წააგავს ბერძნულს გასურათიანებულს სახარებას პარიჟის ნაციონალურ წიგნთ-საცავისას. პარიჟის სახარებაც, როგორც გელათისა, ეკუთვნის მე-XI ს. აგრეთვე მცირე არ არის მათ შორის მსგავსება მათის საზოგადო ხასიათისა, ყაიდისა და სურათების მოყვანილობისა. მაგრამ განსხვავებაც დიდი აქვთ; ბ-ნი პოკროვსკი ამბობს, რომ გელათის სახარება არ უნდა იყოს პირი რომელისამე აქამდე ცნობილ სახარებისა; ამის გამო ამ სახარებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საბერძნეთის დასურათიანებულ სახარებათა ისტორიისათვის, აგრეთვე საზოგადო ტიპებისა და სიუჟეტებისათვისაცაო.

სანამ აღვნიშნავდეთ ადგილს, რომელიც უნდა ეჭიროს რომელსამე ნაშთს სხვა ნაშთთა შორის და საზოგადოდ

*) იხ. Записки Отд. Рус. и Слав. Археол. Имп. Рус. Арх. Общ., ტ. მეოთხე, წერილი პოკროვსკისა.

---

ღვაწი და ნაშრომი ხელიდამ არ გამოეცლება შინაურ თუ გარეულ ქურდების მეოხებით. იქ რამდენიც მეტს გაირჯება კაცი, იმდენი მომეტებული წყარო გამოუჩნდება ცხოვრებისა, იმდენი ნაკლებ დაეჩაგვრინება ხელ-მოკლეობას და სიღარიბეს. ქიზიყმა ამ უკანასკნელ წლების მყუდროებაში იმდენი სარჩო-საბადებელი შეიძინა, რომ დღეს მზად არის მრავალ საზოგადოებრივ წადილებსაც გაუძლევს და ამით ნივთიერ ქონებასთან შეიძინოს სულიერი წარმატებაცა. ამაში უჭირს მხოლოდ რიგიანი წინამძღოლი.

ჩვენ არ ვიცით, ვინ იკისრებს წინამძღოლობას, და ეს-კი კარგად ვიცით, რომ ეხლა რიგიანი წინამძღოლი ბევრს საქმეს გააკეთებინებდა ხალხსა და ამით შეიქმნებოდა მისი საყვარელი და მისგან სამუდამოდ პატივცემული.

**

დავასახელებთ აქ უმთავრეს გაჭირებას ქიზიყისას. ამ მაზრაში ძალიან ცოტაა სასოფლო სკოლები,—სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებელი ხომ ერთიც არ მოიპოვება. ქიზიყის სოფელთა სიახლოვე ერთმანეთზე დიდად შეუწყობდა ხელსა სამეურნეო სასწავლებელს. თვით საშუალო განათლების პროგრამითაც რომ ყოფილიყო იგი, ისე ადვილად გაუძლევბოდა ქიზიყი, რომ წარბსაც არ შეიხრიდა, ოღონდ-კი ერთი დაენახვებინათ აუცილებლობა ამ გვარის სწავლის გავრცელებისა. სასოფლო სკოლის შენახვა ხომ თითქმის ყოველ თვითოეულ სოფელს ქიზიყისას შეუძლიან, და დღეს-კი მთელს მაზრაში ხუთს სოფელზე ძლივს ერთი სასოფლო სკოლა მოდის.

გარდა ამისა, ქიზიყში ძალიან ცუდად არის დაყენებული ალებ-მიცემობის საქმე, იმიტომ-რომ სოფლის მოხელენი ყურადღებას არ აქცევენ და ამის გამო აღარც სასწორი უგავთ სასწორს, აღარც საწყაო—საწყაოსა. გლეხის საცხოვრებელი უწყალოდ გააქვთ ვაჭრებსა და პატრონი არავინ არის. ამიტომ დიდად საჭიროა საწყობებისა და საზოგადო დუქნების გამართვა მოზრდილ სოფლებში, რომ გლეხკაცს შეეძლოს პირიანად და მოუტყუებლად იშოვნოს საჭირო საქონელი.

მაგრამ ყველა ამას ალემატება არხების უქონლობა ამ მხარეში. ეს არ ენახვება, რომ მალხაზიშვილის წისქვილებს ზემოდამ მდინარე იორიდამ მიდის ნაშთი უწინდელის არხისა, მიიკლაკნება უკანა მხრის ფერდობებზე და გადადის თვით შირაქამდე. მცოდნე კაცები ამბობენ, რომ ამ არხის განახლებას ძრიელ ადვილად შესძლებს ხალხი, თუ რიგიანი წინამძღოლი გამოუჩნდაო. და მართლაც, თუ-კი ამოდენა ბეგარას უძლევს ხალხი და მორჩილად აკეთებს ფოსტის გზებს არა თუ მარტო თავის მაზრაში, არამედ სხვაგანაც, აი როგორც ეხლა თიანეთის გზა-ტკეცილია,—ნუთუ ეს ხალხი დაზოგავს თავსა და არ იმუშავებს არხის განსაახლებლად, რომ ერთი-ათად განაძლიეროს თავის მამულ-დედულის ნოყიერება და ამით ბოლო მოუღოს იმ გოლვასა, რომელიც ასე ხშირად ეწვევა ხოლმე ქიზიყსა და ასე შეუბრალებლივ აქარწყლებს ადამიანის შრომასა და ღვაწლსა.

ასეთივე ნაშთი ძველის არხისა მოდის წინამხარშიაც. ის არხი ალაზნით უნდა იკვებებოდეს და განახლებულ უნდა იქმნას თელავისა და სიღნაღის მაზრათა საზიარო მხნეობით. იმავ მცოდნე კაცების სიტყვით, არც ამ არხის განახლება გაუჭირდება ხალხსა, ოღონდ იკისროს ვინმე სანდო და მოხერხებულმა კაცმა და ხელი მოჰკიდოს ამ საქმესა.

ეს ამოდენა მინდვრები, რომელნიც ეხლა უსარგებლოდ ჰყრია წინა და უკანა მხარეში, თითქმის სულ მოირწყვებოდა და, სადაც დღეს პატრონი დღიურზე ქირას ორ აბაზიდამ მანათამდე ძლივს იღებს, იქ მხენელ-მთესველი დღიურში არც თუმანს შეუშინდებოდა, ოღონდ-კი გოლვის დროს ჰქონოდა მორწყვის საშუალება. თვალ-გადუწვდენელი ხრიოკი მინდვრები და ფერდობები საამურად აფერადდებოდა სახნავსათესითა, ბაღებითა და ვენახებით. ხალხის ნივთიერი შეძლება ერთი ათად იმატებდა.

ამ დიდად სასარგებლო საქმეში წინამძღოლობას მთავრობა იკისრებს თუ კერძო კაცი და საზოგადოება, ეგ სულ ერთია, ოღონდ ცოდნითა და ბეჯითად მოსჭიდონ ხელი. მაგრამ ისე ცოდნაც არ არის აქ საჭირო, როგორც ბეჯითობა, იმიტომ-რომ აქ ხომ სათუო და საეჭვო არა არის-რა, გამოკვლევა და გამოზომვა ადგილებისა ხომ არ არის საჭირო თარაზოს გასაყვანად. არხის გაყვანაში ხშირად გზის პოვნასა და თარაზოს გაყვანას კარგა დრო და ხარჯი უნდა. ქიზიყსა და კახეთში ამისთანა ხარჯს პირდაპირ ასცდება ხალხი. იქ ამის მეტი არა უნდათ-რა, რომ ახსენონ ღმერთი, გადიწერონ პირჯვარი და შეუდგნენ საქმეს. ეს საქმეც მხოლოდ იმაშია, რომ მზად გაკეთებული არხი ამოიწმინდოს, ამოსუფთავდეს, გაუმაგრდეს სათავე და მერე წყალი თითონ მიაღწევს იმ ადგილებს ქიზიყისას, სადაც უფრო სახერხოა მომეტებულის მოდენის რწყვა.

ვინატროთ, რომ ამ საქმეებში რიგიანი წინამძღოლი გამოსჩენოდეს ქიზიყსა და კახეთს, რომ ეს მიყრუებული ნაწილნი ჩვენის ქვეყნისანიც ერთი მარაქაში გარეულიყვნენ და საზოგადო საქმის გატანით ესახელნათ თავი.

ამისთანა მადლიანსა და მხნე წინამძღოლს ელის ქიზიყი და ვენახოთ, როდემდის დასჭირდება ლოდინი.

სანი

მის ისტორიულ მნიშვნელობას, საჭიროა, პირველად, შევისწავლოთ იგი ნაშთი. ბიზანტიის უმთავრესნი ნაშთნი, დასურათიანებულნი ხელ-ნაწერნი და სახარებანი, საკმაოდ შესწავლილია. რუსეთისანი-კი მცირედ არიან შესწავლილნი და ქართულნი და სომხურნი სრულ უფრო ნაკლებად. რუსეთის დასურათიანებულ სახარებათაგან, იმათ გარდა, რომლებშიაც მოყვანილია სურათნი ოთხთ მახარებელთა, არც ერთი არ არის უძველესს მე-XVI საუკუნისა. ქართულ სახარებათაგან რამდენიმე ცნობა გვაქვს მხოლოდ ნიკორწმინდის სახარებაზე, და სხვა ქართული სახარება აღარ ვიცით ისეთი, რომ სურათების სიმრავლითა და ღირსებით შეედრებოდეს გელათისასა. ამ გვარი სახარება არ მოიპოვება არც ათონის წიგნთ-საცავებში, არც სინაისაში და არც დასავლეთ-ევროპისა და რუსეთისაში. მხოლოდ მცირე მზგავსება აქვს მასთან დავით გარესჯის წიგნთ-საცავის ოთხთავს, მაგრამ ისიც უსრულია. სომხური დასურათიანებული სახარებანიც ბევრია, მაგრამ არც ერთი მათგანი ვერ შეედრება გელათისას ხატთა მხატვრობისა და ხელოვნების სისრულით.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბები

— გლადსტონს განუზრახავს, რომ დაიწყება თუ არა პარლამენტის სესიები, ევროპა მოიმოგზაუროს.

— აი ანარხისტს მოსტის კერძო ცხოვრებაზე რასა სწერენ ამერიკის გაზეთები: მოსტს დღეში 20 მანათი შემოსავალი აქვს, დილით წერილებსა სთხზავს თავის გაზ. „Freiheit“-ისათვის და საღამოებს-კი სამიკიტნოებში ატარებს თავის თანამოაზრეებთან და კაცობრიობის ბედ-იღბლის სჯასა და განსამართლებაშია. მოსტი მეტის-მეტად უყვარს ვიღაც ფიშერს, მოსტის ერთის თანამოაზრის დასა, და „დიდებულ კაცად“ მიაჩნია თვის მიერ შეყვარებული ადამიანით.

— ბერნეს ძეგლი ფრანკფურტში, რომელიც მდ. მაინზე მდებარეობს, ამ ბოლოს დროს სამჯერა ყოფილა ტალახით გათუთხნული და გალესილი. ამ საქციელის ჩამდენნი ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

— გრაგამ ბელლს მოუგონია გრაფოფონი, ერთ გვარი იარაღი, რომელიც ჯიბრს გაუწევს თურმე ედისონის ფონოგრაფსა. ორივე იარაღი ერთ ნაირია, ხოლო იმითი განსხვავდებიან, რომ გრაფოფონი ფეხის შემწეობით სამუშავებელია, როგორც საკერავი მაშინა, და ფონოგრაფი-კი ელექტრონის საშუალებითა მოქმედებს.

— ერნესტ რენანის „ისტორია ისრაელის ერისა“ ამ ორის კვირის წინად მეათედ დაუბეჭდიათ პარიჟში.

— პარიჟშივე გამოდის თურმე ახალი ჟურნალი, რომელიც განსაკუთრებით ავსტრიას და ავსტრიის სახელმწიფო საქმეებს შეეხება. ამ ჟურნალს სახელად „L'Autriche slave et romaine“ ჰქვიან. ჟურნალის გამოწერა ძალიან ადვილად შეიძლება, რადგან წელიწადში სულ 40—50 კაპიკი ღირს თურმე.

— ჟურნალებს და საზოგადოდ მთელს ლიტერატურას ეხლა სიყვარული გახდომია გამოუცნობ ამოცანად: პარიჟში ედენტერთან გამოცხადებულია თურმე, რომ ჩქარა დაიბეჭდება და გამოვა გასაყიდად სიყვარულის სახარება ანრი პაყატის მიერ შედგენილით.

— თუ ვინმე გამდიდრებულა ვილსონის და გრევის საქმის გამო, ისევ ამისთანა ადამიანი იქნება ემილ კარე, რომელიც უბრალო საგალობელ ლექსებსა სწერს. ამ კარეს დაუწერია საგალობელი „Guel malhour d'avoir un gendre“, რომელიც სულ ორი ფურცელია. ეს ლექსი ათი ათასობით გაყიდულა და ავტორისათვის იმდენი მოგება მოუცია, როგორც თითონ ამბობს თურმე, — რომ ორდენს ვიყიდი ამ ფულებით, ამოირჩევენ თუ არა ვილსონს რესპუბლიკის პრეზიდენტადაო.

— ამას წინად წვრილ ამბებში გვქონდა, რომ ერთმა თერთმეტის წლის ყმაწვილმა რომანების მეტის-მეტის კითხვის გამო თავი მოიკლა დამბაჩითაო. ეს ამბავი ყველას გაუკვირდა და მართლაც რომ საკვირველი იყო, რადგან ეხლანდელი ყმაწვილები ყმაწვილებს არა ჰგვანან. აი ერთი ამისთანავე მაგალითი. ამას წინად ერთი თორმეტის წლის ყმაწვილი ასულა მდ. სენას ხიდის მოაჯირზე და გადავარდნილა სენაში. ორს მენავეს დაუჭერიათ, ამოუყვანიათ წყლიდგან და პოლიციაში წაუყვანიათ. ჩვენების დროს ყმაწვილს უთქვამს: „მე ემილია მონტანი მქვიან, ობოლი ვარ; მონტრეალში ვცხოვრობ ჩემ დეიდასთან, რომელიც ყოველთვისა მცემს ხოლმე და ამიტომ სიკვდილი მირჩევნია იმასთან დაბრუნებასაო“.

— პარიჟში ერთი ანექდოტი დადის თურმე, რომელიც აშკარად ამტკიცებს, თუ რამდენი ეწვალა საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი, როცა მინისტრებს ირჩევდა. აი ეს ანექდოტიც: ელისეს სასახლეს წინ ეტლი დგას. „თავისუფალი ხარო?“ — ჰკითხავენ მეეტლეს. — „არა, ჩემო ბატონო, ჩვენ ეხლა ყველას ბევრი საქმე გვაქვს; ისეც ეტლები ცოტაა, რომ ახალ სამინისტროს კანდიდატების საძებნელად გაიგზავნოს ამ ეტლებით კაცებიო!“

— გერმანიის სწავლულები. გერმანიის ჟურნალ „Illustrirte Welt“-ში, რომელიც შტუტგარდტში გამოდის, დაბეჭდილია ერთი სურათი ამ სათაურით: „ჩერქეზები აბჯრებში“. ამ სურათის ასახსნელ ამბავში სწერია, რომ კავკასიის ჩერქეზები აქამდე აბჯრებსა ხმარობენ და თავის დამოუკიდებლობისათვის იბრძვიანო. ამასთან გაზეთს ძალიან უკვირს, რომ ჩვენს დროსაც მოიპოვება ისეთი ქვეყანა, სადაც საშუალ საუკუნოების ფარებსა და აბჯრებს ხმარობენო.

## დეპეშა

### 11 დეკემბერი

პეტერბურგი. წარსულის კვირის განმავალობაში მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში, ხარკოვსა, ოდესასა და ყაზანში, სტუდენტებს უწესოება მოუხდენიათ. ხარკოვში, ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში, სტუდენტებმა კრება შეადგინეს და წინაამდეგობა გაუწიეს მთავრობის განკარგულებას; 3-ს დეკემბერს უნივერსიტეტში 30 სტუდენტი გამოცვივდნენ აუდიტორიიდგან, შეუერთდნენ ტეხნოლოგებს და ვეტერინარებს, მოახდინეს უწესოება და თან ფანჯრები გამოამტვრიეს ქვედა სართულში. ნოვოროსიის უნივერსიტეტში, 2-ს დეკემბერს, სტუდენტებმა შეადგინეს კრება, შესწყვიტეს ლექცია; ისინი თხოულობდნენ ეხლანდელის საუნივერსიტეტო წესდების გაუქმებას. 4-ს დეკემბერს ყაზანში უნივერსიტეტისა და სავეტერინარო ინსტიტუტის სტუდენტებმა რამდენჯერმე შეადგინეს კრება და თხოულობდნენ იმასავე, რასაც ოდესის სტუდენტები კრების დროს. სტუდენტმა კონსტანტინე ალექსეიევმა მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა სტუდენტების ინსპექტორს. ამ სამს უნივერსიტეტში სწავლა შეჩერებულია. სხვა-და-სხვა გარემოებიდგან სჩანს, რომ ამ უწესოების მიზეზი ბოროტ-გამზრახველ კაცთა მალული მოქმედება ყოფილა.

ხალხის აღრიცხვის პროექტი უკვე დაუსრულებიათ და გადაუციათ ფინანსთა სამინისტროსათვის. აღრიცხვა უნდა მოხდეს 1888 წელს და ეღირება სამი მილიონი მან. უნდა გამოიანგარიშონ, რამდენი ოჯახობაა მთელს სახელმწიფოში.

ვოლგაზე მოსიარულე გემების პატრონები შუამავლობენ, რომ ნება მიეცეთ დაარსონ საზოგადოება, რომელიც სესხად აძლევდეს ფულს იმათ, ვინც დაუგირავებს ვოლგის სისტემის გემებსა და ბარქებს.

„Биржевыя Вѣдомости“ გვაუწყებს, რომ ნამდვილია, ვითომ სამხედრო უწყებას ერთი მანათიც არ მოუთხოვნია სახარჯოდ იმაზედ მეტი, რაც ხარჯთ-აღრიცხვით წინადვე იყო გადადებულიო.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ გერმანიის ელჩმა შვეინიცმა, რომელიც აქამდე დათხოვნილი იყო და ეხლა დაბრუნდა პეტერბურგს, ინახულა გუშინ გარეშე საქმეთა მინისტრი გირსი და დიდხანს იბაასა იმასთანაო.

სოფია. აქ ამბობენ, რომ ის ხმა, ვითომ პრინცი კობურგისა უარს ამბობს ტახტზეო, მართალი არ არისო. აქ მოწოდებულნი არიან ყველა ბრიგადის კომანდირები სამხედრო სამინისტროში ყოველ დღეს სათათბიროდაო.

ბომბეი. ავღანისტანის ემირმა გამოსცა პროკლამაცია. ამ პროკლამაციაში ემირი ჰპირდება მეამბოხეთა, გაპატიებთ დანაშაულს, კარგად მოგეპყრობით და წართმეულს მამულებს დაგიბრუნებთო.

### 12 დეკემბერი

პეტერბურგი პეტერბურგს მოვიდა ლორდი რანდოლფ ჩერჩილი.

გუშინ გარდაიცვალა ადმირალი კოზაკევიჩი.

გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფო საბჭომ დაადგინა ბაჟი 40 კაპ. თითო ფუთს კეროსინზე; იმ ზეთებზე-კი, რომელნიც კეთდებიან ნავთის წარმოების დროს — 30 კაპ. ფუთზე, ბაჟის უკანვე დაბრუნებით საზღვარ-გარედ გატანის დროს.

გაზეთი „С.-Петербургскія Вѣдомости“ იუწყება, რომ შემუშავებულია ახალი პროექტი სასოფლო ბანკების შესახებ. უპირველესად უნდა დაადგინონ ნაკლების-ნაკლები ძირის ფულისა და უნდა შესცვალონ პირობა სესხის გაცემისა.

ვენა. გაზეთი გალნოკისა «Fremdenblatt»-ი ამბობს, რომ ვენის სამმართველო წრეებში არა იციან-რა იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც ვითომ-და სწარმოებს ბოლგარიის საქმის შესახებ; აგრეთვე არა იციან-რა იმ კონფერენციის შესახებ, რომელიც უნდა შესდგეს ამ საქმის გადასაწყვეტად.

ბუხარესტი. დეპუტატთა პალატაში ბრატიანომ სთქვა: იმ შემთხვევაში, თუ ომიანობა მოხდა, რუმინიას შეუძლიან გამოიყვანოს სამასი ათასი ჯარის კაცი. დანიშნულია არა-ჩვეულებრივი კრედიტი ათი მილლიონი ფრანკი; ამ ფულით უნდა იყიდონ ასი ათასი თოფი მაგაზინის ყაიდისა და საჭირო რიცხვი თოფის პატრონებისა. ყოველს წელიწადს მოწვეული იქნება ჯარის-კაცებად 16,5000 კაცამდე.

პრაგა. გაზეთი „Народы Листы“ მილანის უკანასკნელის სიტყვის გამო მილანს მართულებით სათამაშო კუკს ეძახის. გაზეთი ამბობს, რომ მილანს იგივე ბედი მოელის, რა პრინცს კობურგისასაო.

პეტერბურგის ბირჟა, 11-ს დეკემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 15 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 182¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . | — › | — › | 1 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | 275 |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 247¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | 98½ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | 99 |
| ტფილისის სურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . . | 84 | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

**13 დღე კვირა.** წმ. მოწ. ესტატისა, ავქსენტისა, ევგენისა და სხვ. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ლუციასი. სომეხ. ჰისნაკაცი (ქორწინების ნება ეძლევათ). მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—36. მთვარე 12 დღისაა.

**14 დღე ორშაბათი.** წმ. თვირსოსი. სომეხ. წმ. ეგნატე მამათ-მთავრისა და სხ. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა რები-ულ ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—36. მთვარე 13 დღისაა.

**15 დღე სამშაბათი.** მოწ. ელევთერისა, ღირს. პავლესი და სტეფანესი. სომეხ. თეოპემპტე ეპისკ., თეონა მოწ. და სხვ. მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—37. მთვარე 14 დღისაა.

**16 დღე ოთხშაბათი.** წმ. წინ.-მეტ. ანგეასი და წმ. თეოფინე დედოფლ. კათოლ. წმ. მოწ. ევსევისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 15 დღისაა.

**17 დღე ხუთშაბათი.** წმ. წინ.-მეტყ. დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი, მისაილისა. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმ. ქალწულ. ინდოსისა და დომიანესი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დამტკიცებულ იქმნა წესდება წმ. ნინოს დედათა სასწავლებლისა, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 16 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | | 3 | › |
| › | 2 | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | › |
| › › | 2— | 3½ | › |
| › › | 3 | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ღავაში 1-ლის ხარისხისა | | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | | 4 | › |
| მე-3 — | | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 | › |
| › | 2 | 6 | › |
| სუკი | | 13 | › |
| ძროხის ხორცი . | | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | 6 | › |
| › | 2 | 5 | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ'ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვაო გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემა მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა ქართული საეკლესიო

ტიბიკონი

შედგენილი მთ.-დ. რაჟდენ ხუნდაძისაგან. ისყიდება ქ. ქუთაისში: საეპარხიო კანცელარიაში, ღამბაშიძის სტამბაში და თვით გამომცემელთან. ფასი 1 მანეთი. (3—3)

ШОКОЛАТЪ
С. СІУ и К°
(50—3)

დაიბეჭდა ისტორიული პოემა

თამარიანი

გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ
ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
ფასი 60 კაპ. (10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

Доз. цен. Тиф. 12 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.